

620.9(05)

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

პაგინი
"მეცნიერება და ეროვნული კა"

კ ნ ი რ გ ი ნ

სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი

1(93)/2020

თბილისი

სარჩევი

23.

ო.ზუმბურიძე, ი.კუპაშვილი. რეგიონის ინფო-საკომუნიკაციო საბაზრო პოტენციალის შეფასების მეთოდიკა..	5
ბ.ვიზია, გ.გარდალეიშვილი, გრ.ხელიძე. საქართველოს მდინარეების გარემოსდაცვითი პიდროენერგეტიკული პოტენციალის შესახებ.	15
ი.ბერიშვილი, ი.გგალობლიშვილი, ე.გაჭავარიანი, ღ.გლეხრიშვილი საქართველოს ჰაერის გასუფთავების ერთი შესაძლებლობის შესახებ.	20
თ.მუსელიანი, ა.კაშაპიძე, ლ.ბალახაშვილი. მაღალი ძაბვის საჟაერო ელექტროგადაცემის ხაზების ელექტრული ველის დაბაზულობის დამოკიდებულება კიდურა ხაზის გეგმილიდან დაშორებაზე.	26
ზ.გარებილაძე, გ.ერლიძიძე. მზის მიკროსიმბლავრის ელექტროსადგურების განვითარების პერსპექტივები საქართველოში და მოლოდინები „ნეტო აღრიცხვის“ რეგულაციის მიმართ.	34
ა.გაბეჩავა. ქალაქის კადასტრის წარმოებისათვის ავტომატიზებული სისტემების დანერგვა და მისი ეფექტურობა.	47
ფ.გვაცაბაიძე, კ.გვაცაბაიძე. ქალაქის კადასტრის როლი თბილისის მიწების მართვის აქტუალური პრობლემების გადაწყვეტაში.	53
გ.ლორთმიშვანიძე, თ.ჯოჯუა, ბ.ხაჩიძე. რებინდერის ეფექტის გამოვლენის თერმოდინამიკური პირობები.	59
გ.ლორთმიშვანიძე, ღ.ლორთმიშვანიძე. T-ფორმის სამშენებლო ბლოკის გამოყენება, როგორც მოუხსნადი ყალიბი მრავალშრიანი თბოეფექტური შემზღვევი კონსტრუქციების ბეტონირებისათვის	66

ვ ლ რ ც ა ვ თ

პროფესორ შალვა ნაჭიშვილის ვულოცავთ საიუბილეო თარიღებს	74
--	-----------

ს ს რ ვ ნ ა

აბესალომ (ცხვარ) ივანეს ძე ბერიშვილი.	77
გულისული ადლულაძის ხსოვნას.	79

რეგიონის ინფო-საკომუნიკაციო საბაზრო პოლიტიკური შეფასების მთავრები. ო.ზუმბურიძე, ი.კუკავა. "ენერგია". №1(93). 2020. თბილისი. გვ. 5-14. ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

განხილულია ინფო-საკომუნიკაციო საბაზრო პოტენციალი, რომელიც უზრუნველყოფს რეგიონის საინფორმაციო-საკომუნიკაციო დაბალანსებულ განვითარებას, დაფუძნებულს მსოფლიო განვითარების ტენდენციებზე. მეთოდურ ინსტრუმენტად რეკომენდებულია ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების მეთოდის გამოყენება. რეგიონული ინფოსაკომუნიკაციო ბაზრის პოტენციალი განისაზღვრება სხვაობით ინფოსაკომუნიკაციო ბაზრის განვითარების მიღწეულ დონესა და საინფორმაციო-ეკონომიკური წონასწორობის უზრუნველყოფებულ მაჩვენებლებს შორის. საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ერთ-ერთ საკანონო ამოცანას, რომელიც კომპანიების მარკეტინგული განყოფილებების წინაშე დგას, წარმოადგენს ბაზრის პოტენციალის შეფასება.

საქართველოს მდინარების გარემოსდაციითი პიღოოენობეჭიკული პოლიტიკური შესახებ. ბ.ფილია, მ.მარდალეიშვილი, გრ.ხელიძე. "ენერგია". №1(93). 2020. თბილისი. გვ. 15-19. ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

მდინარეების ენერგეტიკული პოტენციალის შეფასება მნიშვნელოვანია პიღოოენერაციის განვითარების შესაძლებლობების პროგნოზირებისათვის. პიღოოენერგეტიკული რესურსის განსაზღვრისას აუცილებელია გარემოსდაცვითი წყლის ხარჯის გათვალისწინება, რაც მოგვცემს საშუალებას დაგაზუსტოთ მდინარის პოტენციალი, რომლის ფაქტობრივი გამოყენება იქნება შესაძლებელი ენერგეტიკული მიზნებისათვის. სტატიაში შემოთავაზებულია გარემოსდაცვითი პიღოოენერგეტიკული პოტენციალის ცნება, რომელიც ასახავს ფაქტობრივად ასათვისებელ პიღოოენერგეტიკულ პოტენციალს. საქართველოს საინჟინრო-საპროექტო პრაქტიკაში მიღებული გარემოსდაცვითი წყლის ხარჯის სიდიდის გათვალისწინებით გამოთვლილია საქართველოს 18 მდინარის ენერგეტიკული პოტენციალი.

საქართველოს პარიის გასუფთავების ერთი შესაძლებლობის შესახებ. ივ. ბერიშვილი, ივ.მგალობლიშვილი, ე.მაჭავარიანი, დ.მდებრიშვილი. "ენერგია". №1(93). 2020. თბილისი. გვ. 20-25. ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

ნაჩვენებია საქართველოს ატმოსფერული ჰაერის მძიმე ეკოლოგიური მდგრმარეობა და ნათევამია, რომ თანამედროვე მსოფლიოში ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვით გამოწვეულ ჰაერის გაჭუჭყიანებასთან ბრძოლის ყველაზე ეფექტურ საშუალებებად მიჩნეულია ელექტრომობილების წილის გაზრდა და თხევადი ნაგორობპორდუქტებიდან დამზადებული საწვავის ბუნებრივი აირით ჩანაცვლება. წარმოდგენილია ავტომობილების ბუნებრივ აირზე გადაყვანის სხვადასხვა ქვეყანაში განხორციელებული წამახალისებელი სამთავრობო ღონისძიებები.

მაღალი კაბვის საჭარო ელექტროგადაცემის ხაზების ელექტრული გელის დაძაბულობის დამოკიდებულება კიდურა ხაზის გეგმილიდან დაშორებაზე. თ.მუსელიანი, ა.ვაშაკიძე, ლ.ბალახაშვილი. "ენერგია". №1(93). 2020. თბილისი. გვ. 26-33. ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

ნაშრომში სარეცლი ასახვის მეთოდით ჩატარებული საპარო ელექტროგადაცემის ხაზის ელექტრული ველის დაძაბულობის დონის გაანგარიშების საფუძველზე მოცემულია საპარო ელექტროგადაცემის ხაზის ელექტრული ველის დაძაბულობის დონის კიდურა სადენის გეგმილიდან დაშორებაზე დამოკიდებულების ცხრილი. მიღებული შედეგები სასარგებლო იქნება სანიტარულ-პიგიენური ნორმების შეფასებისათვის აღნიშნული ძაბვის ხაზობრივი ნაგებობების დაცვის ზონაში სასოფლო-სამურნეო და სხვა მსგავსი სამუშაოების შესრულების დროს.

**მზის მიკროსიმპლაზრის ელექტროსადგურების განვითარების
პრესკომიტივები საქართველოში და მოღოლივები „ნეტო აღრიცხვის“
რჩებულაციის მიმართ. ზ.გაჩეჩილაძე, მ.მელიქიძე. "ენერგია". №1(93). 2020. თბილისი.
გვ. 34-46. ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.**

2019 წლის 20 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით კენჭი
უფარა საქართველოს კანონებს „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ და
„განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების წახალისების
შესახებ“, რომლებმაც ბიძგი უნდა მისცეს განახლებადი ენერგიის წყაროების
მხარდაჭერისთან ამ ედოვე მეთოდების დანერგვას საქართველოში. ჰიდროელექტრო-
სადგურების ათვისებაში წარმოქმნილმა ბოლოდროინდელმა პრობლემებმა ცხადყო,
რომ მნიშვნელოვანია ყველა სახის ადგილობრივი განახლებადი ენერგორესურსის
ათვისება, მათ შორის მცირე სიმძლავრის განაწილებული გენერაციისა, რომელსაც
საქართველოში ჯერ-ჯერობით სათანადო ყურადღება არ ექცევა. ნაშრომი
ყურადღებას ამახვილებს მიკროსიმპლაზრის ელექტროსადგურების, კერძოდ, მზის
ფოტოვოლტური ელექტროსადგურების განვითარების ტენდენციებზე, დამატებითი
მხარდაჭერის საჭიროებებზე, მათი ეკონომიკური მიზიდველობის ანალიზისა და მის
საფუძველზე ე.წ. „ნეტო აღრიცხვის“ რეგულაციის დახვეწის საფუძველზე.

**ქალაქის კადასტრის ორგანიზაციისათვის აპტომატიზებული
სისტემების დახმარება და მისი ეფექტურობა. პ.ე გაბეჩავა. "ენერგია". №1(93).
2020. თბილისი. გვ. 47-52. ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.**

განხილულია კადასტრის წარმოების ავტომატიზებული სისტემების დანერგვის და
მისი ფუნქციონირების ეფექტურობის საკითხები. აღნიშნულია, რომ საქართველოში ამ
მხრივ, მსოფლიო მოწინავე ქვეყნებში დაგროვილი გამოცდილების მიხედვით,
მნიშვნელოვანი დონისძიებებია გატარებული. აღნიშნულია მსოფლიოს რომელმა
მოწინავე ქვეყანამ მიიღო მონაწილეობა ამ სისტემის დანერგვაში.

განხილულია მირითადი საპროგრამო დონისძიებები: კადასტრის წარმოების ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის შექმნა; ავტომატიზებული სისტემების ჩამოსაყალიბებელი ტექნიკური და ტექნოლოგიური პროექტების დამუშავება; ინფორმაციის დაცვისა და გაცემის ქვესისტემების შექმნა; ქალაქის მთელ ტერიტორიაზე ერთიანი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინტეგრირებული სისტემის ჩამოყალიბება და კადრების მოზადება.

ლიტ. 4.

**ქალაქის კადასტრის როლი თბილისის მიწების მართვის
აქტუალური პრობლემების გადაწყვეტაში. ფ.ქვაცაბაია, პ.გაბეჩავა. "ენერგია".
№1(93). 2020. თბილისი. გვ. 53-58. ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.**

ახალ, საადგილმამულო ურთიერთობათა პირობებში მნიშვნელოვან როლს იდენს
ქალაქის ტერიტორიების სწორი მართვა და გამოყენება. მუდმივად მიმდინარე
ცვლილებების ფონზე, აუცილებელია ქალაქის ტერიტორიების რეგულარული
აღრიცხვა, მონიტორინგი და შეფასება. ქალაქის მიწების სამართლებრივი,
ეკოლოგიურ-ეკონომიკური მდგრმარეობისა და უძრავი ქონების რეგისტრაციების
საკითხების შესწავლას და მათი საინფორმაციო ბაზის შექმნას ახორციელებს
ქალაქის კადასტრი.

ქალაქის კადასტრის გეგმურ-კარტოგრაფიული და ტექსტური მონაცემები
გამოიყენება ქალაქის ურბანული დაგეგმარების, განაშენიანების, კეთილმოწყობის,
სივრცითი მონაცემების ანალიზისა და სხვა ამოცანების გადაწყვეტის დროს.

წარმოდგენილი რეკომენდაციები და წინადაღებები ხელს შეუწყობს თბილისის
მიწის ფონდის მართვის პროცესის გაუმჯობესებას.

ლიტ. 5.

რებინდერის უფლებამოსის გამოვლენის თმომოდინამიკური პირობები.

მ.ლორთქიფანიძე, თ.ჯოჯუა, ბ.ხაჩიძე. "ენერგია". №1(93). 2020. ობილისი. გვ. 59-65. ქართ. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

რებინდერის უფლები შეიძლება გამოვლენილ იქნეს მყარი ტანის ნებისმიერი სტრუქტურისა და ბუნების მყარ ტანებზე სითხისა და აირადი ზედაპირულად აქტიური ნივთიერებების მოქმედების შედეგად. თეორიული პროცენტირება არჩეული გარემოს შესაძლო ზემოქმედებისა მოცემულ მასალაზე შესაძლებელია ფაზებშორისი ენერგიის ანგარიშის მეთოდების, ან ნახევრად- ემპირიული და ემპირიული წესების გამოყენება. ამასთან ერთად, რებინდერის უფლების თერმოდინამიკური ბუნების გარდა, მხედველობაში უნდა მივიღოთ მისი კინეტიკური ბუნებაც.

ილ. 2, ლიტ. 2.

T-ფორმის სამშენებლო ბლოკის გამოყენება, როგორც მოუსნადი ყალიბი მრავალშრიანი თბოეფეტური შემზღვდავი პრესტრუქციების ბეტონირებისათვის. გ.ლოლაძე, დ.ლოლაძე. "ენერგია". №1(93). 2020. ობილისი. გვ. 66-73. რუს. ანოტ. ქართ. ინგლ. რუს.

თბოეფეტური შემზღვდავი კონსტრუქციების ასაგებად შემოთავაზებულია T-ფორმის ბეტონის სამშენებლო ბლოკები, როგორც მოუსნადი ყალიბი კონსტრუქციების დამზადების პროცესში. ბლოკი წარმოადგენს ლეროს გაფართოებულს ერთ-ერთი ფერდიდან. გამოყენებული ბლოკები აღიმართებიან როგორც სამშრიანი კონსტრუქციის გარე შრეები და ეწყობიან მშენებარე კონსტრუქციის შიგნით გაფართოებული მხარით. შიდა შრე წარმოიქმნება T ფორმის ბლოკებს შორის სივრცის შევსებით სნაუდი ბეტონის ნარევით, რითიც უზრუნველყოფილი იქნება აგებული კონსტრუქციის მონოლითურობა. აშენებულ ძედელში ბლოკს აქვს მზიდი და თბოდამცავი ელემენტის ფუნქცია.

ბლოკის ზომები, მოცულობითი წონა, რომელიც გამოიყენება ბეტონის დამზადებისას და აგრეთვე საშუალო მოცულობითი წონა და ბეტონის მონოლითური შრის სისქე მიიღება თბოეფეტური და ბეტონის საჭირო სიმტკიცის ანგარიშით.

ანალოგიური წესით ასაგები ნაგებობების ქვეშ სამშენებლო ბლოკის გამოყენებით შესაძლებელია ფირის საძირკვლის მოწყობა.

შემოთავაზებული მეთოდი გვაძლევს ნაგებობების შემოზღვდული კონსტრუქციების აგების საშუალებას დაცილებულ ტერიტორიებზე მცირე მექანიზაციის გამოყენებით.